



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 34
11/01/2018

34-02-4-201801111620



ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების მიღება- ჩაბარების კომისიის შექმნის შესახებ” ონის მუნიციპალიტეტის მერის 2017წლის 16 ნოემბრის N1141 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63--ე მუხლის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება “ ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისიის შექმნის შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 ნოემბრის N1141 ბრძანებაში, კერძოდ: კომისიის შემადგენლობას დაემატოს ვალერიან გობეჯიშვილი- მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- | | |
|----------------------|--|
| მერაბ ორდინიძე | მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე; |
| თეიმურაზ გგელიშვილი | მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი; |
| ვალერიან გობეჯიშვილი | მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე, კომისიის წევრი; |
| ალექსი ჩალაძე | მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ტურიზმისა და ქონების მართვის სამსახურის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი; |

მაია ჭარბაძე

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, კომისიის მდივანი;

მუნიციპალიტეტის დეპუტატი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში;

2. კომისიამ განახორციელოს ეტაპობრივი შემოწმება ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობაზე;

3. კომისიამ არსებული წესით მოახდინოს დასრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს თანახმად;

ემზარ საბანაძე



მუნიციპალიტეტის მერი